

წ ე ს დ ე ბ ა

პროგრედიტ ბანკი

დამტკიცებულია 2025 წლის 7 თებერვლის
აქციონერის გადაწყვეტილებით

ქ. თბილისი, საქართველო

2025

სარჩევი

- ნაწილი I. ბანკის სახელწოდება, სათავო ოფისი და მიზანი
- ნაწილი II. საკუთარი კაპიტალი და აქციები
- II.1. საკუთარი კაპიტალი
- II.2. აქციათა სახე და განთავსებული კაპიტალი
- II.3. განთავსებული კაპიტალის ზრდა
- ნაწილი III. აქციონერების უფლებები და ვალდებულებები
- III.1. ზოგადი ნაწილი
- III.2. მოგება/ზარალის განაწილება, რეზერვები
- III.3. მოგების განაწილების კრიტერიუმები
- ნაწილი IV. ბანკისათვის ნებადართული საქმიანობის სფერო
- ნაწილი V. ბანკის მმართველი ორგანოები
- V.1. ზოგადი ნაწილი
- V.2. აქციონერთა საერთო სხდომა
- V.3. აქციონერთა საერთო კრების მორიგი სხდომა
- V.4. სამეთვალყურეო საბჭო
- V.5. კომიტეტები
- V.6. დირექტორთა საბჭო
- ნაწილი VI. ბანკის წარმომადგენლობა
- ნაწილი VII. დასკვნითი დებულებები

სს პროგრედიტ ბანკის წესდება

ნაწილი I

ბანკის სახელწოდება, სათავო ოფისი და მიზანი

მუხლი 1

1. სააქციო საზოგადოება „პროგრედიტ ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“), დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სრული სპექტრის საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით.
2. ბანკი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებით, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით (მისი ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით), მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით (მისი ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით) და სხვა შესაბამისი კანონებითა და ინსტრუქციებით, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით.

მუხლი 2

1. ბანკი ბიზნეს ოპერაციებს წარმართავს სს „პროგრედიტ ბანკის“ სახელწოდებით. ბანკის იურიდიული მისამართია: 0160, ქ. თბილისი, საქართველო, ალ. ყაზბეგის გამზირი № 21.
2. ბანკს აქვს ლოგო, რომლის ნიმუში მოცემულია წინამდებარე წესდების დანართში №1.

ნაწილი II

საკუთარი კაპიტალი და აქციები

II.1 საკუთარი კაპიტალი

მუხლი 3

წესდების მე-6 მუხლის შესაბამისად განხორციელებული აქციონერების ფულადი შენატანები წარმოადგენს ბანკის განადღებულ სააქციო კაპიტალს. ბანკის განთავსებული კაპიტალი შედგება სააქციო კაპიტალის განადღებული ნაწილისგან, სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეზერვებისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან.

მუხლი 4

ბანკის განადღებული სააქციო კაპიტალი შესაძლოა გაიზარდოს და აღემატებოდეს მე-5 მუხლში მითითებულ ოდენობას (i) მე-7 მუხლის შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელისთვისაც აუცილებელია საერთო კრების აქციონერთა სრული უმრავლესობის ხმების ორი მესამედი (2/3), ახალი აქციების გამოშვების, ნებაყოფლობითი რეზერვების ან გაუნაწილებელი მოგების სააქციო კაპიტალად გარდაქმნის საფუძველზე ან (ii) ნებადართული კაპიტალიდან, თუ არსებობს ასეთი, ახალი კაპიტალის ზრდის მეშვეობით აქციების გამოშვების საფუძველზე.

II.2 აქციათა სახეები და საწესდებო კაპიტალი

მუხლი 5

1. ბანკის განთავსებული კაპიტალის განადღებული ნაწილი შეადგენს 112,482,805 (ას თორმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდაორი ათას რვაას ხუთი) ლარს, რომელიც სრულად იქნება განადღებული.
2. ბანკის აქციებია 22,496,561 (ოცდაორი მილიონ ოთხასოთხმოცდათექვსმეტი ათას ხუთას სამოცდაერთი) რეგისტრირებული ჩვეულებრივი (ხმის უფლების მქონე) აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით - 5 (ხუთი) ლარი.
3. აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია თითო ხმის უფლების მატარებელია.

მუხლი 6

აქციონერის მიერ აქციის ღირებულების გადახდის შემდეგ, ბანკი დაუყოვნებლივ გასცემს გადახდის დამადასტურებელ ქვითარს. ბანკი არეგისტრირებს თითოეულ აქციონერს, მის საკუთრებაში არსებულ აქციათა რაოდენობას და სხვა კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას აქციონერთა რეესტრში და თითოეულ აქციონერს გადასცემს დამადასტურებელ დოკუმენტს. ბანკის აქციონერთა რეესტრს აწარმოებს აქციონერთა დამოუკიდებელი რეგისტრატორი. ბანკი უზრუნველყოფს აქციონერთა დამოუკიდებელი რეესტრის მიერ საჭირო სარეგისტრაციო პროცედურის განხორციელებას და, წინამდებარე წესდების შესაბამისად, აქციონერებისთვის დამადასტურებელი საბუთების წარდგენას.

II.3 განთავსებული კაპიტალის ზრდა

მუხლი 7

1. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციონერების მიერ სხვაგვარად არის განსაზღვრული, საწესდებო კაპიტალის ნებისმიერი ზრდა განხორციელდება იმ რაოდენობის ჩვეულებრივი (ერთი აქცია ერთი ხმის უფლებით) და პრივილეგირებული (ხმის უფლების გარეშე) აქციების გამოშვების გზით, რა რაოდენობაც უზრუნველყოფს აქციონერების მიერ ბანკის საკუთარ საერთო კაპიტალში წილობრივი მონაწილეობისთვის არსებული პროცენტული მაჩვენებლების შენარჩუნებას. თითოეული გამოშვებული აქციის ღირებულება მთლიანად უნდა იყოს განაღდებული.
2. საწესდებო კაპიტალის ნებისმიერი ზრდა საჭიროებს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია დამსწრე ხმათა ორი მესამედით და მე-6 მუხლის შესაბამისად.
3. თითოეული აქციონერი სარგებლობს ახალ გამოცემული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების შესყიდვის უპირატესი უფლებით აქციათა გამოშვების მომენტში მათ ხელთ არსებულ აქციათა პროპორციული ოდენობით. ასეთი უფლების განხორციელება შესაძლებელია აქციონერთა საერთო კრების მიერ ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, დირექტორთა საბჭოს სახელზე გაკეთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე.
4. ქვითრების გაცემისა და აქციათა რეგისტრაციისთვის შესაბამისად გამოიყენება მე-6 მუხლი.
5. ახალი აქციების გამოშვების ყველა დეტალი და პირობა ჩამოყალიბებული იქნება აქციათა გამოშვებისა და შესყიდვის ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდება ბანკს და იმ აქციონერებს შორის, რომლებიც გამოხატავენ ახალი აქციების შეძენის სურვილს, იმ შემთხვევაში, თუ (i) აღნიშნული დეტალები მე-6 მუხლის მოთხოვნებს შეესაბამება, (ii) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება გაგრძელდება ახალ აქციებთან მიმართებაში და (iii) აქციონერების წინასწარი

თანხმობის გარეშე, ახალი აქციები არ გაიცემა პირებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ბანკის აქციონერებს.

6. კაპიტალის ზრდის შემთხვევაში, დირექტორთა საბჭო ვალდებულია განახორციელოს საწესდებო კაპიტალის ზრდის რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა დონისძიება, მათ შორის წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, ახალი აქციების გამოშვების რეგისტრაცია აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ წარმოებულ რეესტრში ან ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ სარეგისტრაციო ორგანოში, შეტყობინებები ეროვნულ ბანკში ან/და ნებისმიერ სხვა ორგანოში, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ნაწილი III

აქციონერების უფლებები და მოვალეობები

III.1 ზოგადი ნაწილი

მუხლი 8

აქციონერთა უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება წინამდებარე წესდებით და ბანკსა და აქციონერთა შორის გაფორმებული შესაბამისი შეთანხმებით.

III.2 მოგებისა და ზარალის განაწილება, რეზერვები

მუხლი 9

ჩვეულებრივი, ხმის უფლების მქონე, აქციების მფლობელ ნებისმიერ აქციონერს, სხვა უფლებებთან ერთად, გააჩნია შემდეგი უფლებები:

- ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე;
- მოგების განაწილებაში მონაწილეობის მიღების უფლება, მფლობელობაში არსებული აქციების პროპორციულად;
- აქციონერებს შეუძლიათ აქციების მესამე პირებისათვის გადაცემა, თუ აქციონერების მიერ წერილობითი ფორმით სხვა რამ არ არის შეთანხმებული. თითოეულ აქციონერს გადასაცემ აქციებთან მიმართებაში ენიჭება უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ აქციონერთა წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

III.3 მოგების განაწილების კრიტერიუმები

მუხლი 10

საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრების რიგითი სხდომის დაწყებამდე, სულ მცირე 20 (ოცი) დღით ადრე, სამეთვალყურეო საბჭო აცნობებს აქციონერთა საერთო კრებას შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობისა და შემადგენლობის შესახებ. აქციონერთა საერთო კრების მორიგ სხდომაზე ხმათა ორი მესამედით (2/3) ხდება აუდიტირებული წლიური ანგარიშების დამტკიცება.

ნაწილი IV

ბანკისათვის ნებადართული საქმიანობის სფერო

მუხლი 11

1. ბანკს უფლება აქვს განახორციელოს ის საქმიანობა, რაც კანონის სრული დაცვით ლიცენზირებული კომერციული ბანკებისათვის არის ნებადართული, თუმცა ეკრძალება ისეთი საქმიანობის წარმართვა ან დაფინანსება, რომელიც მოქცეულია წინამდებარე წესდების დანართი 2-ის სახით მოცემულ სოციალური და გარემოს დაცვის ინტერესების საწინააღმდეგო აკრძალული საქმიანობების ნუსხაში.
2. ბანკი ახორციელებს საკრედიტო საქმიანობას, რომლის შედეგად ერთ კლიენტზე ან დაკავშირებულ კლიენტთა ჯგუფზე გაცემული კრედიტის (სესხები, აკრედიტივები, გარანტიები და ა.შ.) თანხობრივი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 10%-ის ექვივალენტურ თანხას. გამონაკლისი შემთხვევები საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარ თანხმობას.

მუხლი 12

1. გადაწყვეტილებები ფილიალების/სერვის ცენტრების/სერვის პუნქტების გახსნის შესახებ მიიღება დირექტორთა საბჭოს მიერ.

ნაწილი V

ბანკის მმართველი ორგანოები

V.1 ზოგადი ნაწილი

მუხლი 13

1. ბანკის მმართველი ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო.
2. აქციონერთა საერთო კრება ბანკის შიგნით გადაწყვეტილებების მიმღებ მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს.
3. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის პოლიტიკას, აძლევს შესაბამის ინსტრუქციებსა და მითითებებს ბანკის დირექტორთა საბჭოს. თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით, სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორთა საბჭოს წევრებს.
4. დირექტორთა საბჭო წარმოადგენს ბანკს და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

V.2 აქციონერთა საერთო კრება

მუხლი 14

აქციონერთა საერთო კრება წარმართავს ორი სახის სხდომებს: აქციონერთა საერთო კრების მორიგ სხდომასა და აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომას. აქციონერთა მორიგი სხდომა ჩატარდება, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა.

მუხლი 15

აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას.

მუხლი 16

ჩვეულებრივი აქციების მფლობელ ნებისმიერ აქციონერს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა საერთო კრების სხდომებზე უშუალოდ დასწრების ფორმით ან შესაბამისად უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. ხმის უფლების დელეგირება დირექტორთა საბჭოს და/ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე ან ბანკის თანამშრომლებზე დაუშვებელია.

მუხლი 17

აქციონერთა საერთო კრებაზე კვორუმი შემდგარია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია საერთო ხმათა ნახევარზე მეტი, გარდა კანონმდებლობით ან ამ წესდებით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევებისა.

მუხლი 18

თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესდებით, აქციონერთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 19

აქციონერთა საერთო კრების სხდომების მსვლელობისას, წევრებს პოზიციის დაფიქსირება შეუძლიათ როგორც ზეპირად, ასევე, წერილობითი ფორმით. აქციონერთა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ საერთო კრების სხდომებზე.

მუხლი 20

1. აქციონერთა საერთო კრება აანალიზებს და განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მომზადებულ ანგარიშებს საქმიანობის შესახებ და, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად, დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით:
 - 1.1. ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს;
 - 1.2. იწონებს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ გაწეულ მუშაობას;
 - 1.3. ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის გარე აუდიტორს;
 - 1.4. იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადაწყვეტილებებს.
2. დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა ორი მესამედით (2/3), აქციონერთა საერთო კრება საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად:
 - 2.1. ამტკიცებს ბანკის წლიურ აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშებს, წლის განმავლობაში დაფიქსირებულ მოგება/ზარალის განთავსებასა და განაწილებას, და იღებს გადაწყვეტილებებს რეზერვების შექმნისა და მოგების შენარჩუნების შესახებ;
 - 2.2. იღებს გადაწყვეტილებას ბანკის აქტივების ნახევარზე მეტის გაყიდვის შესახებ, და
 - 2.3. ამტკიცებს ბანკის აქციების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საჯაროდ გატანის საკითხს.

3. კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ით საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ბანკის განთავსებული კაპიტალის ზრდის ან შემცირების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, საერთო კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყვნენ საერთო ხმების არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. ამ გადაწყვეტილების მისაღებად უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე კენჭისყრა ყველა კლასის აქციებისთვის, რომლებზეც აღნიშნული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს. აქციონერთა საერთო კრებამ ეს გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების საფუძველზე. აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს განთავსებული კაპიტალის ზრდის/შემცირების მიზანი და მეთოდი.
4. დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა სამი მეოთხედით (3/4), აქციონერთა საერთო კრება, საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად:
 - 4.1. ამტკიცებს და შეაქვს ცვლილებები წინამდებარე წესდებაში,
 - 4.2. იღებს გადაწყვეტილებას ბანკის რეორგანიზაციის შესახებ, კერძოდ: სამართლებრივი სტატუსის ცვლილების, ბანკის სხვა ბანკთან ან ორგანიზაციასთან შერწყმის, ან მისი გაყოფის შესახებ.

მუხლი 21

აქციონერთა საერთო კრების სხდომებს უძღვება კრების თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა საერთო კრების მიერ.

V.3. აქციონერთა საერთო კრების მორიგი სხდომა

მუხლი 22

1. აქციონერთა საერთო კრების მორიგი სხდომა მოიწვევა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრის) მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ასევე განსაზღვრავს სხდომის დღის წესრიგს. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე საერთო კრების მოწვევის თარიღამდე სულ მცირე 21 დღით ადრე. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება აგრეთვე ბანკის ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 23

1. იმ შემთხვევაში, თუ ერთი აქციონერი ფლობს ბანკის აქციათა 100 (ასი) %-ს, გადაწყვეტილებების მისაღებად არ არის საჭირო აქციონერთა საერთო კრების მოწვევა. აქციონერის ასეთი გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია.

2. აქციათა 100 (ასი)%-ის მფლობელი აქციონერის გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

V.4. სამეთვალყურეო საბჭო

მუხლი 24

1. ბანკის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ. საფუძვლიანი მიზეზის არსებობისას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ნებისმიერ დროს შეიძლება გათავისუფლდნენ თანამდებობიდან აქციონერთა საერთო კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იმავდროულად არ შეიძლება ასრულებდნენ აღმასრულებელ ფუნქციებს ან იყვნენ ბანკის თანამშრომლები.
2. სამეთვალყურეო საბჭო, საკითხების განსახილველად იკრიბება, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შეკრების სიხშირე, შესაძლოა, გაიზარდოს საბჭოს შეხედულებისამებრ.
3. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 (სამი) წევრისაგან. თუ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე საბჭოს წევრების რაოდენობა გაიზრდება, წევრთა რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 21 (ოცდაერთი)-ს. იმ შემთხვევაში, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის ხმები გაიყო, გადამწყვეტი ხმა გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს.
4. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს მთლიან ეფექტურ ფუნქციონირებაზე, წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს კოორდინაციასა და ეფექტურ თანამშრომლობაზე. იმ შემთხვევაში, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ წარმოადგენს დამოუკიდებელ წევრს, საბჭოში წარმოდგენილ დამოუკიდებელ წევრთაგან აირჩევა უფროსი დამოუკიდებელი წევრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.
5. თითოეულ აქციონერს, რომელიც ფლობს ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივ აქციათა მინიმუმ 20%-ს, უფლება აქვს წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. იგივე გამონაკლისის გათვალისწინებით, ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების მფლობელ აქციონერთა ჯგუფს, რომელთა აქციები ჯამში შეადგენს სულ მცირე 20%-ს შეუძლია წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. წარდგენილი კანდიდატების არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ მე-20 მუხლის 1.1 ქვეპუნქტის შესაბამისად. წევრობის ვადა განისაზღვრება 3 წლით, ან უფრო მოკლე ვადით, რომელსაც აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს.
6. შესაძლებელია სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის ხელახლა არჩევა. თუმცა, მათი უფლებამოსილება წყდება არაუადრეს შემცვლელის არჩევისა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობიდან განთავისუფლებისას, მისი

შემცვლელის არჩევა უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს მომდევნო სხდომამდე. თითოეულ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, რომელიც უფლებამოსილია წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, იმავდროულად, შეუძლია მოითხოვოს წარდგენილი წევრის მოხსნა, რისთვისაც საჭიროა აქციონერთა საერთო კრების თანხმობა, მაგრამ განთავისუფლების მოთხოვნასთან ერთად, წარდგენილ უნდა იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ახალი კანდიდატურა, წევრის მოხსნის შედეგად დარჩენილი ვაკანტური ადგილის შესავსებად. ახალი კანდიდატურის არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ მე-20 მუხლის 1.1 ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 25

1. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა უმრავლესობა.
2. სამეთვალყურეო საბჭოზე გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესდებით სხვაგვარად არის განსაზღვრული.
3. სამეთვალყურეო საბჭო, ხმათა უბრალო უმრავლესობით თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე აიწვევს იმავე ვადით, რომლითაც იგი აირჩია სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხელახლა არჩევა შესაძლებელია.

მუხლი 26

1. დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა სამი მეოთხედით (3/4) სამეთვალყურეო საბჭო:
 - 1.1. განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის პოლიტიკას, იღებს და ამტკიცებს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.
 - 1.2. ამტკიცებს ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ წლიურ ბიზნესგეგმას (წლიური საოპერაციო ბიუჯეტის ჩათვლით).
2. დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით სამეთვალყურეო საბჭო:
 - 2.1. ამზადებს რეკომენდაციებს აქციონერთა საერთო კრებისათვის, ასრულებს აქციონერთა საერთო კრების მითითებებს და თავმჯდომარის საშუალებით იწვევს აქციონერთა საერთო კრების სხდომებს წინამდებარე წესდების 22-ე მუხლის შესაბამისად.
 - 2.2. განიხილავს და ამტკიცებს ფინანსური წლის განმავლობაში დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ ბიზნეს ოპერაციების ანგარიშს და ამზადებს ბანკის წლიურ ანგარიშს აქციონერთა საერთო კრებაზე წარსადგენად.
 - 2.3. დისკრეციული უფლების საფუძველზე, ნებისმიერ დროს ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებს, დირექტორთა

საქმიანობასთან დაკავშირებით გაცემს დირექტივებს და მითითებებს, განსაზღვრავს დირექტორთა საბჭოს წევრების ხელფასის ოდენობას.

2.4 წინამდებარე წესდების 11.2 მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებებს ისეთი კრედიტების გაცემის თაობაზე, რომლებიც აღემატება ბანკის განხორციელებული განთავსებული კაპიტალის 10%-ს.

2.5 იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის რეფინანსირების ნებისმიერი წყაროს შესახებ, სესხების (გარდა საქართველოს ეროვნულ ბანკთან, კომერციულ ბანკებთან ან შესაბამის სახელმწიფო/კერძო სტრუქტურებთან ბანკის ლიკვიდურობის მართვის მიზნით განხორციელებული მონეტარული ოპერაციებისა), ობლიგაციების გამოშვების ან სხვა სახით და შესაბამისი გადაწყვეტილებების შესასრულებლად მითითებებს აძლევს ბანკის დირექტორთა საბჭოს.

2.6 ასრულებს აქციონერთა საერთო კრების რიგით და რიგგარეშე სხდომებზე მიღებულ რეზოლუციებს ან კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, მითითებებს აძლევს დირექტორთა საბჭოს რეზოლუციების შესასრულებლად.

2.7 ამტკიცებს ბანკსა და მის ადმინისტრატორებს/დაკავშირებულ მხარეებს შორის გრანჩაქციებს, ბანკის შიდა რეგულაციების, საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2.8. ახორციელებს წინამდებარე წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს, მათ შორის, ბანკის შიგნით სათანადო კომიტეტების არსებობასა და ფუნქციონირებას, ისევე როგორც ისეთ ღონისძიებებს, რომელიც არ მოითხოვს აქციონერთა საერთო კრების ნებართვას.

მუხლი 27

სამეთვალყურეო საბჭოს ზოგადი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები

1. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ბანკის წინაშე აკისრიათ ფიდუციური ვალდებულებები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კომერციული ბანკის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად, ბანკზე უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და სადად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ ბანკის სტაბილურობის ინტერესების გათვალისწინებით. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს კომერციული ბანკის ინტერესებს. ისინი საქმეს უნდა მიუდგნენ გონივრულად და დამოუკიდებლად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა უნდა უზრუნველყონ კომპეტენტური დირექტორების შერჩევა და შენარჩუნება, კომერციული ბანკის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა და მისი შესრულების მონიტორინგი. შესაბამისად, ამ მოვალეობების ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისათვის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ბანკის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს.

2. სხვა ფუნქციებთან ერთად, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:
- ა) განსაზღვრონ ბანკის ღირებულებები, ხედვა, მისია, ორგანიზაციული სტრუქტურა, რისკის აპეტიტი და უზრუნველყონ, რომ ბანკი იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით.
 - ბ) განსაზღვრონ ბანკის ეთიკის სტანდარტები და ქცევის კოდექსი. მუდმივად შეაფასონ დირექტორატის როლი ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ბანკის ქცევის კოდექსთან, ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების, ასევე, ფულის გათვორებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ არსებულ კანონმდებლობასა და ბანკის შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას.
 - გ) მუდმივი მონიტორინგი გაუწიონ ბანკის ანონიმური მხილების სისტემის (Whistleblowing) მიმართულებით ბანკში არსებულ პოლიტიკა-პროცედურების ეფექტურობასა და მიუკერძოებლობას. ამასთან, ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ დირექტორატის მხრიდან მათთან სრული ანგარიშგება ხდებოდეს იმ მნიშვნელოვანი საკითხებისა, რაც დაისმება ბანკის სხვა რგოლების წარმომადგენელთა მიერ, რომლებიც სრულად დაცული უნდა იყონ პოტენციური ზიანისა და დისკრიმინაციისგან.
 - დ) განსაზღვრონ ბანკის სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორატის მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას.
 - ე) უზრუნველყონ ბანკის საქმიანობის კანონმდებლობასთან, მათ შორის, სახედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობა.
 - ვ) რისკების მართვის დირექტორთან (შემდგომში – რისკების დირექტორი) და დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებთან თანამშრომლობის შედეგად განსაზღვრონ ბანკის რისკის აპეტიტი. რისკის აპეტიტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, სახედამხედველო ხედვები, ბანკის გრძელვადიანი ინტერესები, ბანკის ყველა რისკის პოზიცია. რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები უნდა შეესაბამებოდეს გაცხადებულ რისკის აპეტიტს, რისკის პოლიტიკასა და ლიმიტებს.
 - ზ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორატის საქმიანობას, შეაფასონ დირექტორატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასების შედეგად მიიღონ შესაბამისი ზომები. შეფასებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად საბჭომ უნდა დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები. საბჭომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ დირექტორატის მხრიდან იღებდეს საკმარის ინფორმაციას, მათ შორის, განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორატის საქმიანობა სრულად

შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების აპეტიტს და ბანკის შიდა კონტროლის მექანიზმები ქმედითად მუშაობს.

- თ) უზრუნველყონ კონტროლის ფუნქციების ეფექტურობა და დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს საქმიანობის განხორციელებისას ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, სხვა ნებისმიერი მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე.
 - ი) უზრუნველყონ ეფექტური მართვის პროცესების დანერგვა და შენარჩუნება, რაც მათ შორის, მოიცავს მატერიალური რისკის ამღებ პირთა ბანკიდან გადინებისას, ბიზნეს უწყვეტობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული შესაბამისი სტრატეგიებისა და პროცედურების შემუშავებას. ეფექტური მართვის პროცესის დანერგვა აგრეთვე მოიცავს ბანკში დასაქმებული პირების მუდმივ შეფასებასა და განვითარებას, ასევე, პოტენციურ კანდიდატთა მოძიებას.
 - კ) მონიტორინგი გაუწიონ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს და ამ მიზნით, უზრუნველყონ ბანკში შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურების არსებობა.
 - ლ) მონიტორინგი გაუწიონ და პერიოდულად შეაფასონ ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურის ეფექტურობა და მიიღონ შესაბამისი ზომები იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.
 - მ) უზრუნველყონ რისკის კულტურის საუკეთესო პრაქტიკის წახალისება და თანამშრომელთა შორის ეფექტური კომუნიკაციის, კონსტრუქციული დისკუსიისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა.
 - ნ) დაამტკიცონ დირექტორატისა და კონტროლის ფუნქციების ანაზღაურების პოლიტიკა.
 - ო) უზრუნველყონ საკითხების სათანადო ასახვა ბანკის სტრატეგიაში და მონიტორინგი გაუწიონ მათ ეფექტიან განხორციელებას. აღნიშნული მოიცავს არა მხოლოდ ბანკის საქმიანობის ფინანსური შედეგების, არამედ ბანკის საქმიანობის პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტების გათვალისწინებას და შეფასებას. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფუნქციის განსახორციელებლად, სამეთვალყურეო საბჭო უნდა ფლობდეს სათანადო ცოდნას და იღებდეს შესაბამის ინფორმაციას ESG საკითხების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად განიხილავს ბანკის ანაზღაურების პოლიტიკას და უზრუნველყოფს მის საერთაშორისო და სახელმწიფო სტანდარტებთან, ისევე როგორც ბანკის სტრატეგიასთან, მიზნებთან, კორპორაციულ კულტურასთან და გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას.
3. სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად არის ჩართული კორპორაციული მართვის საკითხებში და ასრულებს ეთიკის პრინციპებითა და ქცევის სტანდარტებით

გათვალისწინებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს. უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებისას ბანკის რეპუტაციული რისკების შეფასებასა და სრულ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და შიდა სტანდარტებთან.

4. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა ხედებოდეს დირექტორთა საბჭოს და კონტროლის განმახორციელებელ განყოფილებებს ბანკის პოლიტიკებისა და კონტროლის ღონისძიებების განხილვის, მნიშვნელოვანი რისკების იდენტიფიცირებისა და იმ საკითხებისა და სფეროების გამოვლენის მიზნით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.
5. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია იმ კომიტეტების საქმიანობის შესრულებაზე, რომელთა არსებობაც ბანკისათვის არ არის სავალდებულო მისი მასშტაბისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით.

მუხლი 28

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები გაიმართება მინიმუმ კვარტალში ერთხელ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 10 სამუშაო დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე იწვევს საბჭოს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს და თავმჯდომარეობს სხდომებს. საგანგებო ვითარებაში შეტყობინების ვადა შეიძლება უფრო მცირე იყოს, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, არანაკლებ 8 დღისა.

მუხლი 29

1. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე ქვორუმი შემდგარია თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია (განსაკუთრებულ შემთხვევებში, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით - ტელეფონით მონაწილეობს) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მინიმუმ ორი მესამედი. თუ წინამდებარე წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე გადაწყვეტილებები მიღებულად ითვლება წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილებები სხდომის ჩატარების გარეშე თუ კი მისი წევრები წერილობითი ფორმით, ერთსულოვნად შეთანხმდებიან განსახილველ საკითხზე. მიღებულ გადაწყვეტილებას ხელს მოაწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
2. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ახერხებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დასწრებას, მას შეუძლია თავისი ხმის უფლება სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრს გადასცეს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით (მათ შორის, მინდობილობის საფუძველზე).
3. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წერილობითი ჩანაწერი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სხდომაზე წარმოდგენილი საბჭოს წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ყველა დისკუსიის ჩანაწერი შეჯამებული იქნება ბანკის წარმომადგენლის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ, რომელსაც განხილვის შემდეგ ხელს მოაწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

4. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომათა ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის მიერ შემოწმებისა და დამტკიცებისთვის (ან, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვლება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ ხმათა უმრავლესობით მიღებული რეზოლუციის საფუძველზე) სამეთვალყურეო საბჭოს პირველ მომდევნო სხდომაზე.
5. სხდომების ოქმი შემოწმებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს აქციონერებისათვის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა ან მათი წარმომადგენლებისთვის ბანკის იურიდიულ მისამართზე ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ სხვა ნებისმიერ მისამართზე.

მუხლი 30

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს სხდომებზე დასწრების ხარჯები არ აუნაზღაურდებათ.
2. ბანკი სრულად აუნაზღაურებს სამეთვალყურეო საბჭოს არსებულ თუ ყოფილ წევრებს ნებისმიერი სახის ზარალს, მოთხოვნებს, ვალდებულებებს ან ხარჯებს (და დაიცავს ასეთისგან), რომელიც წარმოიშვა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ფაქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზარალის/მოთხოვნის/ვალდებულებების/ხარჯის გამომწვევი ქმედება განხორციელებულია სამეთვალყურეო წევრის განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალით ან იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ყოფილი ან არსებული წევრი სასამართლოს მიერ იქნება ბანკის მიმართ დამნაშავედ ცნობილი.

V.5. კომიტეტები

მუხლი 31

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნილია აუდიტისა და რისკის კომიტეტები, რომლებიც დაკომპლექტებული უნდა იყოს მინიმუმ სამი წევრისგან. კომიტეტების უმრავლესობას უნდა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელი წევრები, ხოლო აღნიშნული კომიტეტების თავმჯდომარე უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი და იმავდროულად არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს და/ან სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. აუდიტისა და რისკის კომიტეტის წევრები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 3 წლის ან უფრო მოკლე ვადით, რომელსაც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მათი ხელახლა არჩევა დასაშვებია. აღნიშნული კომიტეტების დაკომპლექტებისას, გაითვალისწინება წევრთა შესაბამისი ცოდნა და უნარები. ბანკში მოქმედ კომიტეტებს გააჩნიათ შესაბამისი დებულება, რომელშიც გაწერილია კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები.
2. აუდიტისა და რისკის კომიტეტის წევრები იკრიბებიან მინიმუმ კვარტალში ერთხელ, ან უფრო ხშირად, საჭიროებიდან გამომდინარე. როგორც წესი, კრების ჩატარების ადგილია ბანკის საქმიანობის ადგილი.

3. კომიტეტზე ქვორუმი შემდგარია, როდესაც კრებაზე სათანადოდ არის მოწვეული მისი ყველა წევრი, ხოლო კრებას ესწრება ან სათანადოდ წარმოდგენილია, სულ მცირე, ორი წევრი. საჭიროების შემთხვევაში, წევრებს კრების მუშაობაში მონაწილეობა შეუძლიათ ტელეფონის, ვიდეოკონფერენციის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება წარმოდგენილ ხმათა უმრავლესობით და ხმის მიცემისგან თავის შეკავება დაუშვებელია.

მუხლი 32 - აუდიტის კომიტეტი

1. აუდიტის კომიტეტის წევრები მოქმედებენ დამოუკიდებლად და არ ექვემდებარებიან ბანკის აღმასრულებელ პერსონალს ან დირექტორთა საბჭოს წევრებს, არც მათ ზეგავლენას განიცდიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. აუდიტის კომიტეტი საქმიანობის ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს აქციონერთა რიგით საერთო კრებას და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს.

მუხლი 33

აუდიტის კომიტეტის ძირითადი ვალდებულება და პასუხისმგებლობაა:

1. იმოქმედოს როგორც ბანკის დამოუკიდებელმა და ობიექტურმა მხარემ ბანკის რისკების მართვის პროცესსა და შიდა კონტროლის სისტემაში.
2. ხელი შეუწყოს გარე აუდიტორებს თავიანთ საქმიანობაში.
3. ზედამხედველობა გაუწიოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მუშაობას.
4. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მეშვეობით ზედამხედველობა გაუწიოს საბუღალტრო წესებისა და პროკრედიტ პოლდინგის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმების შესრულებას.
5. მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესებს და დაამტკიცოს გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგებები.
6. შიდა კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, აუდიტის კომიტეტის წევრებს, შესაძლოა, ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერ და ყველა სახის საქმიან დოკუმენტაციაზე. თანამშრომლები ვალდებული არიან მიაწოდონ ყველა საბუღალტრო და სხვა სახის დოკუმენტი და ინფორმაცია აუდიტის კომიტეტის ნებისმიერ წევრს, რომელიც მოითხოვს მას.

მუხლი 34 - რისკების კომიტეტი

რისკების კომიტეტს აქვს მთელი რიგი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, მათ შორის:

- ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალი რისკის აპეტიტზე.
- ბ) ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს, სულ მცირე, ყოველწლიურად.
- გ) მონიტორინგს უწევს დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება დირექტორატის მხრიდან ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- დ) თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას.
- ე) რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე.
- ვ) მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა.
- ზ) რეკომენდაციას გასცემს გარე კონსულტანტის დანიშვნასთან დაკავშირებით, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭომ ან მისმა კომიტეტებმა შესაძლოა მიმართონ კონსულტაციისთვის ან რჩევისთვის.
- თ) განიხილავს სხვადასხვა შესაძლო სცენარებს, მათ შორის, სტრეს სცენარებს, რათა შეაფასოს სხვადასხვა გარე და შიდა მოვლენის გავლენა ბანკის რისკის პროფილზე.
- ი) მონიტორინგს უწევს კლიენტებისთვის შეთავაზებული მატერიალური ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების, მათ შორის, მათი ფასების შესაბამისობას ორგანიზაციის ბიზნეს მოდელთან და რისკის სტრატეგიასთან. რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია, შეაფასოს შეთავაზებულ ფინანსურ პროდუქტებთან და მომსახურებებთან დაკავშირებული რისკები და გაითვალისწინოს ამ პროდუქტებისა და სერვისების ფასის შესაბამისობა მათგან მიღებულ მოგებასთან.
- კ) აფასებს შიდა და გარე აუდიტორის რეკომენდაციებს და აუდიტის კომიტეტთან თანამშრომლობით მონიტორინგს უწევს შესაბამისი ზომების განხორციელებას.
- ლ) მონიტორინგს უწევს პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესს, მათ შორის, ESG საკითხების ანგარიშგებას და ამტკიცებს გამოსაქვეყნებელი წლიური პილარ 3-ის ანგარიშგებას, თუ აღნიშნული, ბანკის შიდა პოლიტიკის შესაბამისად, რისკების კომიტეტის ფუნქციას წარმოადგენს.

2. რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია შესაბამისი რეკომენდაციები და მოსაზრებები წარუდგინოს საბჭოს ბანკის არსებულ და მომავალ რისკის აპეტიტთან დაკავშირებით. ამასთან, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, აწარმოოს შესაბამისი ანგარიშგება საბჭოსთან დაიდენტიფიცირებული მატერიალური რისკებისა და სხვა საკითხების, მათ შორის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების სტრუქტურის, ეფექტური ფუნქციონირების, უწყვეტობისა და ზოგადად, ბანკში არსებული რისკის კულტურის თაობაზე.
3. კომიტეტი მუდმივად უნდა იღებდეს შესაბამის ანგარიშგებას რისკების დირექტორისგან და სხვა შესაბამისი ფუნქციებისგან ბანკის მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურის, გაცხადებული რისკის აპეტიტთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, ღიმიტების, ღიმიტების დარღვევისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით.
4. რისკისა და აუდიტის კომიტეტებს შორის უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის დაიდენტიფიცირებას, მათ შორის, ახლადგამოვლენილი რისკებისა და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო კორექტირებების შეტანას ბანკის რისკის მართვის ჩარჩოში.
5. რისკების კომიტეტს უნდა შეეძლოს დირექტორატის, რისკებისა და კონტროლის თანამშრომლებთან, ასევე სხვა შიდა თუ გარე მხარეებთან დამოუკიდებლად შეხვედრა კომიტეტის ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნებისათვის.
6. რისკების კომიტეტი მუდმივად მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს რისკების დირექტორთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის რისკების მართვის სისტემის ეფექტურობა და პროპორციულობა ბანკის რისკების ბუნებასთან, მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან. რისკების კომიტეტი ყველა შეხვედრაზე უნდა იწვევდეს რისკების დირექტორს.

V.6. დირექტორთა საბჭო

მუხლი 35

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად, ბანკის დირექტორთა საბჭო წარმართავს და ახორციელებს ბანკის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. კომერციული ბანკის დირექტორატს, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირების უფლება.

მუხლი 36

1. ბანკის სხვა ორგანობთან თანამშრომლობით, ბანკის დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს ბანკის გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის შენარჩუნება და ასევე უზრუნველყოს აღნიშნული მიზნის მისაღწევად ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება.

2. ბანკის დირექტორთა საბჭო ასევე ვალდებულია:

2.1 წარუდგინოს საქმიანობის ანგარიში ბანკის აუდიტის კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს. მოამზადოს წლიური ბიზნეს გეგმა.

2.2 უზრუნველყოს აქციონერთა მორიგი კრების ჩატარება სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, მაგრამ, არაუგვიანეს წლიური ბალანსის შედგენიდან 6 თვისა.

2.3 დანიშნოს/გაანთავისუფლოს ბანკის თანამშრომლები და განსაზღვროს მათი ანაზღაურება.

2.4 სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დროდადრო განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს ანგარიშები.

2.5 მოამზადოს წლიური ფინანსური უწყისები და წლიური ანგარიშები სამეთვალყურეო საბჭოსათვის განსახილველად და აქციონერთა საერთო კრებაზე წარსადგენად.

2.6 სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით, მოამზადოს სპეციალური ანგარიშები.

2.7 სრული შემადგენლობით (ან მისი რომელიმე წევრი) დაესწროს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს თუ მოწვევას მიიღებს სამეთვალყურეო საბჭოსგან.

2.8 შეასრულოს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხვა მითითება, იმის გათვალისწინებით, რომ შესრულება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და წინამდებარე წესდებას.

2.9 სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ბიზნეს პოლიტიკის შესაბამისად, განახორციელოს ბანკის ყოველდღიური ბიზნესოპერაციები.

2.10 კრედიტების გაცემასთან დაკავშირებით, მიიღოს გადაწყვეტილება თანამშრომელთათვის ერთპიროვნული ან ერთობლივი უფლებამოსილების მინიჭების საკითხზე. საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის შიგნით ერთი ან რამდენიმე საკრედიტო კომიტეტის შექმნის და მათი კომპეტენციის განსაზღვრის შესახებ, თუ მსგავსი კომიტეტის შექმნა დროდადრო საჭიროდ ჩაითვლება.

2.11 მოამზადოს და წარუდგინოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებები ბანკის წესდების, ასევე ბანკის სხვა ინსტრუქციებისა და წესების ცვლილებასთან დაკავშირებით.

2.12 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის საქმიანობის განვითარების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

2.13 ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს სხვა ღონისძიებები.

3. დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილება შესაძლოა შეიცვალოს ან შეიზღუდოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ბანკის მართვის უფლებამოსილების მინიჭება სამეთვალყურეო საბჭოსათვის.

მუხლი 37

ბანკის დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დირექტორთა საბჭოს წევრების წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 38

1. სამეთვალყურეო საბჭო დისკრეციული უფლების საფუძველზე ნიშნავს და ნებისმიერ დროს ათავისუფლებს ბანკის გენერალურ დირექტორსა და დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებს.
2. დირექტორთა საბჭოს წევრები ინიშნებიან მაქსიმუმ სამი წლით ან უფრო მოკლე ვადით, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს, ხელახალი დანიშვნის უფლებით.

მუხლი 39

1. დირექტორთა საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან ბანკის საოპერაციო საქმიანობის მართებულად და კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვაზე.
2. დირექტორთა საბჭო ვალდებულია აცნობოს ბანკის ორგანოებს, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საქართველოს კანონმდებლობასთან, წინამდებარე წესდებასთან ან სხვა წესებთან შეუსაბამობის შესახებ.

მუხლი 40

დირექტორთა საბჭო ვალდებულია აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს მათი გადაწყვეტილებების შედეგების შესახებ, თუკი ეს გადაწყვეტილებები საფრთხეს უქმნის ბანკის ფინანსურ სტაბილურობას.

მუხლი 41

1. დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია გარკვეული ამოცანების შესრულების უფლებამოსილება გადასცეს ბანკის თანამშრომლებს, პასუხისმგებლობის

განაწილების გათვალისწინებით, თუკი აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2. დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია, სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობით, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში, სრულად ან ნაწილობრივ მოახდინოს საკუთარი უფლებამოსილების დელეგირება.

ნაწილი VI

ბანკის წარმომადგენლობა

მუხლი 42

ბანკს ერთობლივად წარმომადგენს დირექტორთა საბჭოს ნებისმიერი ორი წევრი.

მუხლი 43

ბანკის დირექტორთა საბჭომ, შესაძლოა, ბანკის გარკვეულ თანამშრომლებს მიანიჭოს გენერალური მინდობილობა (ხელმოწერის სრული უფლებამოსილება) ან, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, წარმომადგენლობის შეზღუდული უფლებამოსილება.

მუხლი 44

ბანკი ვალდებულია გაამჟღავნოს იმ პირთა ვინაობა, რომელთაც მიენიჭათ ხელმოწერის სრული უფლებამოსილება და ბანკის წარმომადგენლის შეზღუდული უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობებში და ასევე გაამჟღავნოს იმ კონკრეტული პირების ვინაობა, რომელთაც ენიჭებათ ხელმოწერის უფლებამოსილება ბანკის შიგნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი VII
დასკვნითი დებულებები

მუხლი 45

წინამდებარე წესდება ძალაში შედის ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე ერთხმად დამტკიცების შემდეგ.

ხელმოწერილია:

დანართი 1



დანართი 2

სოციალური და გარემოს ინტერესებიდან გამომდინარე აკრძალული საქმიანობის ნუსხა

არ დაფინანსდება შემდეგი საქმიანობები:

- ა) იძულებითი შრომის მავნე ან ექსპლუატაციური ფორმების/ბავშვთა საზიანო შრომის¹ გამოყენებით, პროდუქციის წარმოება ან საქმიანობა, დისკრიმინაციული საქმიანობა, ან იმგვარი მოპყრობა, რაც თანამშრომლებს პროფკავშირების ან სხვა ტიპის გაერთიანებების წევრობისა და დამსაქმებელთან მოლაპარაკებების წარმოების უფლებას ართმევს.
- ბ) პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობა, ან ისეთი საქმიანობა, რომელიც აკრძალულია მასპინძელი ქვეყნის (ე.ი. ადგილსამყოფელი ქვეყნის) კანონმდებლობისა თუ ნორმატიული აქტების, ან საერთაშორისო კონვენციების და ხელშეკრულებების საფუძველზე, მათ შორის, და არა მხოლოდ, ბიომრავალფეროვანი რესურსებისა² და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონმდებლობისა და კონვენციების საფუძველზე.
- გ) იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოება და ვაჭრობა.
- დ) ალკოჰოლური სასმელების წარმოება და ვაჭრობა (ლუდის და ღვინის გარდა)
- ე) თამბაქოს წარმოება ან ვაჭრობა³.
- ვ) სათამაშო ბიზნესი, კაზინო და მსგავსი საქმიანობა.
- ზ) ვაჭრობა გარეული ცხოველებით ან გარეული ცხოველების პროდუქტებით, რომელიც რეგულირდება CITES⁴-ით.
- თ) რადიოაქტიური მასალების წარმოება ან ვაჭრობა, მათ შორის რადიოაქტიული ნარჩენების შენახვა და განკარგვა.
- ი) შეუფუთავი ასბესტის ბოჭკოების, ან ასბესტის შემცველი პროდუქტების წარმოება, ვაჭრობა ან გამოყენება.⁵
- კ) ხე-ტყის კომერციული მიზნით გაჩეხვა, ან აღჭურვილობის შექმნა ტროპიკული ტყეების გასაჩეხად.

¹ იძულებითი შრომა გულისხმობს არანებაყოფლობით სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც შესრულებულია პირის მიერ ფიზიკური საფრთხის ან სხვა სახის მუქარის ქვეშ; ბავშვთა საზიანო შრომა გულისხმობს ბავშვთა შრომას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატაციურია, საზიანო მათი ჯანმრთელობისათვის ან ხელს უშლის მათ განათლებას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ ან სოციალურ განვითარებას; დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (იხ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ინვესტიციების გარანტიების მრავალმხრივი სააგენტოს “ერთობლივი მემორანდუმი იძულებითი შრომისა და ბავშვთა საზიანო შრომის შესახებ”); შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის “შრომის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დეკლარაციას” და შემდეგი კონვენციებით დაცულ პრინციპებს: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29-ე და 105-ე კონვენციები (იძულებითი შრომა), 87-ე (გაერთიანების უფლება), 98-ე (კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება), მე-100 და 111-ე (დისკრიმინაცია), 138-ე მინიმალური ასაკი), 182-ე (ბავშვთა შრომის უმძიმესი ფორმები), “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია”.

² ბიომრავალფეროვნების შესახებ საერთაშორისო კონვენციებში შედის: გარეული ცხოველების მიგრირებული სახეობების დაცვის შესახებ კონვენცია (ბონის კონვენცია); საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე, განსაკუთრებით წყლის ფრინველების ბინადრობის არეალის ჭაობნარის შესახებ კონვენცია (რამსარის კონვენცია); ევროპის ველური ბუნებისა და გარეული ცხოველების გავერცელების არეალის დაცვის შესახებ კონვენცია (ბერნის კონვენცია); მსოფლიოს მემკვიდრეობის შესახებ კონვენცია; ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია.

³ არ ეხება იმ კლიენტებს/საწარმოებს, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ამ საქმიანობაში. “უშუალოდ არ მონაწილეობენ” ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კლიენტის ძირითად საქმიანობის დანამატს.

⁴ CITES: გადაწყვეტის პირას მყოფი ველური ფაუნის და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია. სახეობათა ჩამონათვალი შეგიძლიათ მიიღოთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან ან ევროპის გაერთიანებისა და რეკონსტრუქციის ბანკისაგან.

⁵ არ შეეხება შეუფუთავი ასბესტის ცემენტის შესყიდვას ან გამოყენებას სადაც ასბესტის შემცველობა <20%;

- ლ) პოლიქლორიდის შემცველი ბიფენილენის პროდუქტების წარმოება ან ვაჭრობა⁶,
- მ) საერთაშორისო კონვენციებით შეზღუდული ან აკრძალული ფარმაცევტული ნივთიერებების, პესტიციდების/ჰერბიციდების და სხვა სახიფათო ნივთიერებების წარმოება ან ვაჭრობა⁷.
- ნ) საერთაშორისო კონვენციებით შეზღუდული ოზონის შრის შემამცირებელი ნივთიერებების შემცველი პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობა.⁸
- ო) დრიფტერული ბადეებით თევზჭერა ზღვაში, რომელთა სიგრძე აღემატება 2,5 კმ.
- პ) ნავთობის ან სხვა საშიში ნივთიერებების გადაზიდვა ტანკერებით, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნებს⁹.
- ჟ) ბირთვულ წარმოებასთან ან ბირთვულ მასალებთან დაკავშირებული ბიზნესი ან საქმიანობა.
- რ) გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოშვება ბუნებრივ გარემოში, და ბუნებრივ გარემოში გამოსაშვები გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით ვაჭრობა.
- ს) ადგილობრივი ხალხებით, და/ან დაუცველი ჯგუფებით დასახლებული მიწებზე, ამ ტერიტორიის შემოგარენში, ან ამ მიწაზე გამდინარე მდინარეზე საქმიანობა, როცა მიწაცა და წყლებიც გამოიყენება ისეთი საარსებო საქმიანობებისთვის, როგორცაა შინაური პირუტყვის საძოვრები, ნადირობა, თუ თევზაობა.
- ტ) ადგილობრივი კანონმდებლობით, ან საერთაშორისო კონვენციებით დაცულ ადგილებზე, მეცნიერული ინტერესის მიდამოებში, იშვიათი/გადაშენების პირას მყოფი სახეობების გავრცელების არეალში და ეკოლოგიური მნიშვნელობის პირველყოფილ ტყეებში, მათ შემოგარენში, ან ამ ტერიტორიებზე გამდინარე წყლებზე¹⁰;
- უ) საქმიანობები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ კულტურული ან არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ადგილებზე.
- ფ) საქმიანობა, რომელიც მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას გულისხმობს.
- ქ) საერთაშორისო კანონით აკრძალული ნარჩენების საზღვრებში გადატანა.¹¹
- ღ) მცირე ზომის ჰიდროკასკადების აგება.
- ყ) ნებისმიერი ბიზნესი, რომლის ძირითადი საქმიანობა რამენაირად უკავშირდება პორნოგრაფიას ან პროსტიტუციას.

⁶ პოლიქლორიდის ბიფენილები განეკუთვნება მაღალი ტოქსიკური ქიმიკატების ჯგუფს. გვხვდება ზეთის შემცველ ტრანსფორმატორებში, კონდეხატორებში და გამანაწილებელ აღჭურვილობაში რომელიც გამოშვებულია 1950-1985 წლებში.

⁷ შეზღუდული ან აკრძალული პროდუქტების ჩამონათვალის მისაღებად მიმართეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას. შესაბამისი დოკუმენტაცია მოიცავს გაეროს დირექტივას №^{2455/92} გარკვეული საშიში ქიმიკატების ექსპორტ-იმპორტის შესახებ, შესაბამისი ცვლილებებითურთ, გაეროს ერთიან სიას იმ პროდუქტებისა, რომელთა მოხმარება და/ან გაყიდვა აკრძალული, გაუქმებული, მკაცრად შეზღუდული ან დაუმტკიცებელია მთავრობების მიერ; გარკვეული საშიში ქიმიკატებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურების წინასწარ შეტყობინებული თანხმობის შესახებ კონვენციას (როტერდამის კონვენცია); სტოკჰოლმის კონვენციას მდგრადი ორგანული დამბინძურებელი ნივთიერებების შესახებ; მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პესტიციდების მავნებლობის მიხედვით კლასიფიკაციას.

⁸ ოზონის დამრღვევი ნივთიერებები: ქიმიური კომპონენტები, რომელიც რეაქციაში შედის და ამცირებს სტრატოსფერულ ზონას, რაც იწვევს ე.წ. "ოზონის ხვრელებს". მონრეალის პროტოკოლში მოცემულია ამ სახის ნივთიერებები და მათი შემცირების, ასევე თანდათანობით აკადღის თარიღები. ქიმიკატების ჩამონათვალი გულისხმობს აეროზოლს, გამაგრილებელ ნივთიერებებს, გამსხნელს, ქაფის გამომცემ ნივთიერებებს, ხანძარსაწინააღმდეგო ნივთიერებებს და ასევე მათი თანდათანობით აკადღის თარიღებს ხელმოშვებულ ქვეყნებში. შეიძლება მიიღოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან, ან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან.

⁹ მასში შედის: ტანკერები, რომელთაც არ გააჩნიათ MARPOL SOLAS სერტიფიკატები (მათ შორის, და არა მარტო, ვერ აკმაყოფილებენ უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო კოდექსს); ტანკერები, რომლებიც შესულია ევროკავშირის შავ სიაში, ან აკრძალულია პორტებზე სახელმწიფო კონტროლის თაობაზე პარიზის შემორანდუმის საფუძველზე, ასევე ტანკერები, რომელთა გამოყენება იზღუდება MARPOL-ის 13G და 13H დირექტივებით. 25 წელზე მეტი სიძველის ტანკერის გამოყენება დაუშვებელია.

¹⁰ ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტაციას წარმოადგენს დაცულ ტერიტორიებზე ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის სახელმძღვანელო პრინციპები.

¹¹ ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტაციას წარმოადგენს: 2006 წლის 14 ივნისის აქტი (ევროკავშირი) №^{1013/2006} ნარჩენების გადაზიდვის თაობაზე; ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების საბჭოს საბოლოო დღეგანილება C(2001)107, ნავთობმომპოვებისათვის განკუთვნილი ნარჩენების საზღვრებში გადამზიდვების კონტროლის შესახებ დადგენილების C(92)39 შეცვლის თაობაზე; 1989 წლის 22 მარტის ბახელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების საზღვრებში გადამზიდვებისა და განადგურების კონტროლის შესახებ.

